



სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების
საშუალოვადიანი პრიორიტეტების

დოკუმენტი

თავი 1. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, იმერეთის რეგიონის დასავლეთ ნაწილში და ესაზღვრება სამეგრელოს და გურიის მხარეებს; კერძოდ: აბაშის, ლანჩხუთის, ვანის, ხონის, წყალტუბოს და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებს. მისი ძირითადი ნაწილი კოლხეთის დაბლობზეა განლაგებული, ხოლო მცირე ნაწილი საჯავახოს ზეგანზეა შეფენილი, სადაც ძირითადად მთიანი სოფლებია განლაგებული. მუნიციპალიტეტის ტერიტორია **36 429** ჰა-ს შეადგენს. სამტრედიის მუნიციპალიტეტი დაყოფილია **15** ადმინისტრაციულ ერთეულად. მუნიციპალიტეტში **56** დასახლებაა, მათ შორის ერთი ქალაქი, ერთი დაბა და **54** სოფელი, საიდანაც **27** მაღალმთიანი სოფელია. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი სამტრედია.

სამტრედიის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს სარკინიგზო და საავტომობილო კვანძს. მუნიციპალიტეტზე გადის საავტომობილო მაგისტრალები **ს1** და **ს12**, საქართველოს ცენტრალური რკინიგზის **31** კილომეტრიანი მონაკვეთი. მანძილი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრსა და ქუთაისს შორის **33,3** კმ-ია, ხოლო ქალაქ სამტრედიასა და თბილისს შორის **260** კმ-ია. ქალაქი სამტრედია ფოთის პორტიდან დაცილებულია **65** კმ-ით, ხოლო ბათუმის პორტიდან **113** კმ-ით. ქალაქ სამტრედიიდან **11** კილომეტრში მდებარეობს დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით **2021** წლის **1** იანვრის მდგომარეობით სამტრედიის მუნიციპალიტეტში **43,4** ათასი ადამიანი ცხოვრობს, რაც იმერეთის მოსახლეობის **9,1%**-ს შეადგენს. აქედან, **23,1** ათასი მამაკაცია (**47,5%**), ხოლო **25,5** ათასი (**52,5%**) ქალი; საქალაქო დასახლებებში სულ ცხოვრობს **27,0** ათასი ადამიანი (მუნიციპალიტეტის მოსახლეობის **55,6%**) აქედან **12,6** ათასი კაცი (საქალაქო მოსახლეობის **46,7%**), ხოლო **14,4** ათასი - ქალი (საქალაქო მოსახლეობის **53,3%**). სასოფლო დასახლებაში ცხოვრობს **21,6** ათასი ადამიანი (მუნიციპალიტეტის მოსახლეობის **44,4%**), აქედან **10,5** ათასი კაცი (სოფლის მოსახლეობის **38,9%**) ხოლო **11,1** ათასი ქალი (სასოფლო მოსახლეობის **61,1%**). **2002** წლის აღწერასთან შედარებით სამტრედიის მუნიციპალიტეტში მოსახლეობა **19%**-ით არის შემცირებული. იგივე პერიოდში იმერეთში მოსახლეობა **24,4%**-ით შემცირდა.

მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში **1600** ბავშვია; აქედან ქალაქის ტერიტორიაზე **1 068** ბავშვი (**66%**), ხოლო სოფლად - **532** ბავშვი (**34%**). სამტრედიის მუნიციპალიტეტში **2018** წლის მონაცემებით **6 096** სკოლის მოსწავლეა; აქედან **2 151** მოსწავლე (**35,3%**) სოფლებში, მათ შორის გოგო - **994**, ბიჭი - **1157**, ხოლო **3 945** ბავშვი (**64,7%**) ქალაქში, მათ შორის გოგო - **1892**, ბიჭი - **2053**.

სამტრედიის მუნიციპალიტეტში პენსიონერთა რაოდენობა **2019** წლის მდგომარეობით შეადგენს **13 461** ადამიანს, აქედან ასაკით პენსიონერი **11 221** ადამიანი.

ქალაქ სამტრედიის ფართობი **29 694** კვ.კმ-ია. მოსახლეობის სიმჭიდროვე სამტრედიის მუნიციპალიტეტში **123,6** კაცია კვ.კმ-ზე.

სამტრედიის მუნიციპალიტეტში სოციალური დახმარების მიმღები მოსახლეობის რაოდენობაა 5 548 ანუ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 11,4% -ია, რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე (13%) ნაკლებია. ეს მონაცემი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა და საბოლოო ჯამში შემცირებულია 765 ერთეულით.

სამწუხაროდ საქართველოში არ არსებობს სტატისტიკა მთლიანი შიდა პროდუქტის დათვლისა მუნიციპალიტეტების მიხედვით. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ გვიხდება ნაკლებად ავლწეროთ მუნიციპალიტეტის ეკონომიკური მდგომარეობა და პირდაპირ განვიხილავთ ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლებს.

თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2.1 შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების შემოსულობების პროგნოზი საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლებისას გათვალისწინებულ იქნა, 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და თანმდევი მასალების (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შესატანი ცვლილების პროექტი, სადაც აღნიშნულია, რომ „მუნიციპალიტეტები უფლებამოსილი არიან, საკუთარი შემოსულობების ფარგლებში, დასაგეგმი წლის ბიუჯეტის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებები გაზარდონ მიმდინარე წლის ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებულ ოდენობასთან შედარებით არაუმეტეს დასაგეგმი წლისათვის მთლიანი შიდა პროდუქტის პროგნოზირებული ნომინალური ზრდის პროცენტული მაჩვენებლით“. ასევე 2019 წლიდან მუნიციპალიტეტისათვის დამატებული ღირებულების გადასახადს ახალი განაწილების სისტემის გათვალისწინებით) გათვალისწინებით. დღგ-დან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები დათვლილია საბიუჯეტო კოდექსში გათვალისწინებული ცვლილებების (კანონპროექტის 71-ე მუხლი) შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის 2019-2024 წლის შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო აგრეგირებული მაჩვენებლები განისაზრვა შემდეგნაირად:

ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები						
დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი
შემოსავლები	19,218.8	21,839.7	14,113.0	15,834.9	16,866.3	17,964.8
გადასახადები	8,892.9	11,259.5	11,846.3	14,041.5	15,068.7	16,162.2
გრანტები	8,007.8	8,570.5	190.0	187.0	187.0	187.0
სხვა შემოსავლები	2,318.1	2,009.7	2,076.7	1,606.4	1,610.6	1,615.6

ბარჯები	11,923.1	12,096.0	12,225.8	13,469.2	13,719.0	14,255.7
შრომის ანაზღაურება	2,253.1	2,303.9	2,389.7	3,022.6	3,022.6	3,097.6
საქონელი და მომსახურება	1,953.7	1,774.5	1,574.2	1,608.4	1,679.4	1,646.4
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	35.0	40.1	33.6	27.2	20.8	14.4
სუბსიდიები	6,069.0	6,201.6	6,576.2	6,726.2	6,738.2	6,763.4
გრანტები	8.6	130.4	20.8	16.5	18.3	19.2
სოციალური უზრუნველყოფა	1,045.7	935.8	942.1	1,313.0	1,514.4	1,864.4
სხვა ხარჯები	558.0	709.7	689.2	755.3	725.3	850.3
საოპერაციო საღდო	7,295.7	9,743.7	1,887.2	2,365.7	3,147.3	3,709.1
არაფინანსური აქტივების ცვლილება	9,966.4	12,634.8	1,817.1	2,295.6	3,077.2	3,639.0
ზრდა	10,289.1	12,722.7	1,907.1	2,295.6	3,077.2	3,639.0
კლება	322.7	87.9	90.0	0.0	0.0	0.0
მთლიანი საღდო	-2,670.7	-2,891.1	70.1	70.1	70.1	70.1
ფინანსური აქტივების ცვლილება	-2,705.8	-2,961.2	0.0	0.0	0.0	0.0
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	0.0		0.0	0.0
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	2,705.8	2,961.2	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	2,705.8	2,961.2	0.0	0.0	0.0	0.0
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ცვლილება	-35.1	-70.1	-70.1	-70.1	-70.1	-70.1
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	35.1	70.1	70.1	70.1	70.1	70.1
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	35.1	70.1	70.1	70.1	70.1	70.1
ბალანსი	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000

2.2 გასული და მიმდინარე წლის ბიუჯეტების შესრულება

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობების ანალიზი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) გეგმა განისაზღვრა **19,731.8** ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **19,541.4** ათასი ლარი, საანგარიშო პერიოდში **190.4** ათასი ლარით ნაკლები შემოსავალია მიღებული, რამაც გეგმის **99%** შეადგინა. მათ შორის:

ბიუჯეტის შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) სახით მობილიზებულია **19,218.7** ათასი ლარი, რამაც საპროგნოზო მაჩვენებლის (**19,449.6** ათასი ლარი) **98,8%** და მთლიანი - შემოსულობების **97,4%** შეადგინა. მათ შორის:

გადასახადების სახით მობილიზებულია **8,889.9** ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (**9,257.6** ათასი ლარის) **96,1%**-ია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) შემოსავალმა შეადგინა - **292.2** ათასი ლარი, ხოლო მიწის გადასახადმა შეადგინა **1,234.6** ათასი ლარი. დამატებული ღირებულების გადასახადმა შეადგინა **7,366.1** ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (**7,007.6** ათასი ლარი) **105.1%**-ია. წინა წელთან შედარებით (ფაქტი **4,515.1** ათასი ლარი) **2019** წელს გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავალმა **4,377.8** ათასი ლარით მეტი შეადგინა.

გრანტების სახით მიღებულია **8,007.8** ათასი ლარი, მათ შორის: კაპიტალური ტრანსფერი - **6,622.2** ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - **485.6** ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერი **900.0** ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია **2,318.0** ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (**1,988.8** ათასი ლარის) **97,1%**-ია.

ათასი ლარი

დასახელება	2019 წელი			
	გეგმა	ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	19,449.6	19,218.7	-230.9	98,8
გადასახადები	9,257.6	8,892.9	-364.7	96,1
გრანტები	8,203.2	8,007.8	-195.4	97,6
სხვა შემოსავლები	1,988.8	2,318.0	329.2	116,6

არაფინანსური აქტივების კლებიდან **2019** წელს მობილიზებული იქნა **322.7** ათასი ლარის შემოსავალი, რაც პრივატიზაციის შედეგად იქნა მიღებული. არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული თანხების წილი შემოსულობებში **1,65%** შეადგენს.

2019 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა **5,715.1** ათასი ლარი, მათ შორის ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული გრანტებია **2,631.8** ათასი ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთია **3,083.3** ათასი ლარი.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გადასახდელების ანალიზი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის **2019** წლის ბიუჯეტის წლიური ხარჯების საკასო შესრულებამ შეადგინა **22,247.0** ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის **87,4%**-ია (წლიური გეგმა **25,446.6** ათასი ლარი)

მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგნაირად მიიწართა:

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტების ხარჯების სტრუქტურა ფუნქციონალურ ჭრილში (ათას ლარებში)		
დასახელება	2019 წელი	
	ფაქტი	%
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,973.9	13,4
თავდაცვა	104.1	0,5
საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0	0
ეკონომიკური საქმიანობა	8,363.3	37,6
გარემოს დაცვა	15.0	0,1
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	2,938.2	13,2
ჯანმრთელობის დაცვა	112.2	0,5
დასვენება და კულტურა	2,587.0	11,6
განათლება	3,787.8	17,0
სოციალური დაცვა	1,365.5	6,1
სულ ხარჯები	22,247.0	100.0

2019 წელს განსაზღვრულ პრიორიტეტებზე მიმართულმა სახსრებმა შეადგინა 22,247.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (25,446.6 ათასი ლარი) 87,4%-ია. მათ შორის:

ხარჯებმა დარგების მიხედვით შეადგინა:

1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯი - 2,973.9 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (3,327.5 ათასი ლარი) 89,4%-ია;
2. თავდაცვა საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 104.1 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (122.8 ათასი ლარი) 84,8%-ია;
3. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია ექსპლოატაცია სულ გახარჯულია 11,316.5 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (13,129.4 ათასი ლარი) 86,2%-ია; მათ შორის:
 - 3.1 გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებებისათვის - 8,337.4 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (9,638.5 ათასი ლარი) 86,5%-ია;
 - 3.2 კომუნალური მეურნეობის განვითარება - 922.6 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (2,150.6 ათასი ლარი) 42,9%-ია;
 - 3.2.1 დასუფთავება - 15,0 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (15,0 ათასი ლარი) 100%-ია;
 - 3.2.2 ბინათმშენებლობა - 432.6 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (529.4 ათასი ლარი) 81,7%-ია;
 - 3.2.3 გარე განათების რეაბილიტაცია ექსპლოატაცია - 508.3 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (528,9 ათასი ლარი) 96,1%-ია;
 - 3.2.4 წყლის სისტემების რეაბილიტაცია ექსპლოატაცია - 31.3 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (117.3 ათასი ლარი) 26,7%-ია;

3.3 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები - 283.7 ათასი ლარი, რას წლიური გეგმის (620.5 ათასი ლარი) 45,7%-ია;

3.3.1 საკადასტრო რუკები და ექსპერტიზის ხარჯი -23.6 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (32.3 ათასი ლარი) 73,1%-ია;

3.3.2 სკვერების მოწყობა - 48.2 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (192.6 ათასი ლარი) 25,0 %-ია.

3.3.3 ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაცია - 95.7, რაც წლიური გეგმის (99.9 ათასი ლარი) 95,8%-ია.

3.4 სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები 615.7 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (710.0 ათასი ლარი) 86,7%-ია.

3.5 სოფლის მეურნეობის განვითარება - 2.4 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (9.8 ათასი ლარი) 24,5%-ია;

4. განათლების დარგით გახარჯულია სულ - 3,787.8 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (4,087.9 ათასი ლარი) 92,7%-ია;

4.1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სუბსიდირებაზე - 2,018.5 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (2,057.5 ათასი ლარი) 98,1%-ია;

5. კულტურა , რელიგია, ახალგაზრდული და სპორტულ ღონისძიებები – 2,587.0 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (3,250.7 ათასი ლარი) 79,6%-ია;

6. მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1,477.7 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (1,528.3 ათასი ლარი) 96,7%-ია, მათ შორის:

6.1 ჯანდაცვის პროგრამები - 112.2 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (112.5 ათასი ლარი) 99,7%-ია.

6.2 სოციალური პროგრამები - 1,365.5 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (1,415.8 ათასი ლარი) 96,4%-ია.

2020 წლის ბიუჯეტის 9 თვის მაჩვენებლები

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2020 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს 25,355.4 ათას ლარს. ბიუჯეტის შემოსავლების სახით 2020 წლის 9 თვის მონაცემებით მობილიზებულია 14,296.2 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (22,351.6 ათასი ლარი) 64.0 %-ია, მათ შორის:

გადასახადების ფაქტიურმა შესრულებამ 9 თვეში შეადგინა 7,207.9 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (9,977.1 ათასი ლარი) 72,2%-ია;

გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 5,299.1 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (10,603.7 ათასი ლარი) 50,0%-ია, აქედან: სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები, კერძოდ: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 227.3 ათასი ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან კაპიტალური ტრანსფერის სახით - 5,071.8 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 1,533.8 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (1,613.8 ათასი ლარი) 95,0%-ია, მათ შორის: პროცენტების სახით მიღებულია 189,0 ათასი ლარი, რენტის სახით მობილიზებულია 105.7 ათასი ლარი, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულია 879.9 ათასი ლარი, სანქციები (ჯარიმები და საურავები) – 353.8 ათასი ლარი, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან მიღებულია 5,4 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივები რეალიზაციიდან მობილიზებულია 255.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (134.9 ათასი ლარი) 189,3%-ია.

ნაშთი 2020 წლის 1 იანვრისათვის ანგარიშებზე ირიცხება 3,009.7 ათ.ლარი, საიდანაც 583.0 ათ.ლარი არის 2018-2019 წელს დაგეგმილი რეგიონული პროექტებიდან გადმოყოლილი შეუსრულებელი სამუშაოების გარანტიისთვის დაკავებული თანხა. აღნიშნული თანხიდან სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერების მოცულობა გაიზარდა 577.8 ათ. ლარით, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით ნაშთის სახით დარჩენილი 2,426.5 ათ. ლარიდან 2,426.0 ათასი ლარი განაწილდა ადგილობრივი ბიუჯეტით დაგეგმილი სამუშაოების შესასრულებლად.

2020 წელს განსაზღვრულ პრიორიტეტებზე 9 თვის განმავლობაში მიმართულ იქნა 13,559.0 ათასი ლარი (წლიური გეგმის 25,355.4 ათასი ლარის 53,5%-ი). მათ შორის:

1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯი - 2,380.2 ათასი ლარი;
 - 1.1 თავდაცვა საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 78.6 ათასი ლარი;
2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია ექსპლოატაცია სულ გახარჯულია 5,508.1 ათასი ლარი:
 - 2.1 გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებებისათვის - 4,494.9 ათასი ლარი;
 - 2.2 კომუნალური მეურნეობის განვითარება - 349.9 ათასი ლარი;
 - 2.2.2 ბინათმშენებლობა - 92.6 ათასი ლარი;
 - 2.2.3 გარე განათების რეაბილიტაცია ექსპლოატაცია - 203.8 ათასი ლარი;
 - 2.2.4 წყლის სისტემების რეაბილიტაცია ექსპლოატაცია - 53.5 ათასი ლარი;
 - 2.3 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები - 663.3 ათასი ლარი:
 - 2.3.1 საკადასტრო რუკები და ექსპერტიზის ხარჯი - 0 ათასი ლარი;
 - 2.3.2 სკვერების მოწყობა - 185.7 ათასი ლარი;
 - 2.4 სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები 476.0 ათასი ლარი;
 - 2.5 სოფლის მეურნეობის განვითარება - 1.6 ათასი ლარი;
3. დასუფთავება და გარემოს დაცვა - 967.0 ათასი ლარი;
4. განათლების დარგით გახარჯულია სულ - 1,775.0 ათასი ლარი:
 - 4.1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სუბსიდირებაზე - 1,386.8 ათასი ლარი;
5. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტულ ღონისძიებები - 1,889.5 ათასი ლარი;
6. მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1,039.2 ათასი ლარი, მათ შორის:
 - 6.1 ჯანდაცვის პროგრამები - 85.2 ათასი ლარი;
 - 6.2 სოციალური პროგრამები - 953.7 ათასი ლარი.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2018-2020 წლების ბიუჯეტების ხარჯების სტრუქტურა ფუნქციონალურ ჭრილში (ათას ლარებში)						
დასახელება	2018 წელი		2019 წელი		2020 წელი	
	ფაქტი	%	ფაქტი	%	ფაქტი (9 თვე)	%
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,854.7	19,8	2,973.9	13,4	2,301.6	17,0

თავდაცვა	101.3	0,7	104.1	0,5	78.6	0,6
საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0.0	0	0	0	0.0	0.0
ეკონომიკური საქმიანობა	4,143.9	28,7	8,363.3	37,6	4,972.5	36.7
გარემოს დაცვა	15.0	0,1	15.0	0,1	967.0	7.1
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1,582.2	11,0	2,938.2	13,2	535.7	4,0
ჯანმრთელობის დაცვა	259.0	1,8	112.2	0,5	85.5	0,6
დასვენება, კულტურა და რელიგია	2,238.6	15,5	2,587.0	11,6	1,889.5	13.9
განათლება	2,015.4	14,0	3,787.8	17,0	1,775.0	13.1
სოციალური დაცვა	1,219.2	8,4	1,365.5	6,1	953.6	7.0
სულ ხარჯები	14,429.3	100	22,247.0	100	13,559.0	100

თავი III. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

თვითმმართველი ერთეული სამტრედიის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის განვითარების საშუალოვადიანი პრიორიტეტების წინამდებარე დოკუმენტის ფარგლებში განვითარების ხედვა წარმოადგენს იმ გრძელვადიან მისწრაფებებსა და მდგომარეობას, რომლის დადგომაც ივარაუდება მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის ან სტრატეგიის, ასევე, სხვა დარგობრივი სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების, მუნიციპალური თუ სახელმწიფო პროგრამებისა და პროექტების, სახელმწიფო პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელების შედეგად.

ხედვის, როგორც ყოვლისმომცველი, საბოლოო მიზნის მისაღწევად აუცილებელია მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესებში სამოქალაქო და კერძო სექტორის, აკადემიური წრეებისა და დონორების ჩართვა, რომელთა ინიციატივები, პროექტები და პროგრამები თავის წვლილს შეიტანს მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებაში.

ხედვა: **2030** წლისთვის სამტრედიის მუნიციპალიტეტი მაქსიმალურ სარგებელს ნახულობს მის ტერიტორიაზე არსებული სარკინიგზო, საგზაო და საჰაერო ინფრასტრუქტურით. მუნიციპალიტეტი მიმზიდველია ცხოვრებისა და ბიზნესის საწარმოებლად, როგორც ქალაქად, ისე სოფლად. მუნიციპალიტეტის ეკონომიკა დივერსიფიცირებულია, ხოლო ეკონომიკური შესაძლებლობები გამოყენებულია მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებებში. არსებული სპორტული ობიექტები მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და მეზობელი დასახლებების მაცხოვრებლების მიერ გამოყენებულია ჯანსაღი ცხოვრებისა და სპორტული მიღწევებისათვის.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხედვის რეალობად გადასაქცევად **2021-2024 წლებში** სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო და მერია შექმნან სხვადასხვა თაობის ადამიანებზე ორიენტირებულ მუნიციპალიტეტს ძლიერი გუნდით, რომელიც ხარისხიან, საზოგადოებრივ მომსახურების მიწოდებას უზრუნველყოფს მოქალაქეთა და ბიზნესისათვის. მათი ჩართულობით მოხდება საჭიროებების იდენტიფიცირება, ანალიზი და გადაწყვეტა; მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა მათთან ერთად აქტიურად იმუშავებს სამტრედიის განვითარებისთვის, პრომოუშენს გაუკეთებს სამტრედიას, როგორც ინვესტიციების განხორციელებისა და ოჯახების ცხოვრებისთვის საუკეთესო ადგილს. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები ერთობლივად ყველა მიმართულებით გაატარებს ძირეულ და ინოვაციურ რეფორმებს. ამ რეფორმების შედეგად, მივიღებთ მცირე, მოქნილ და ეფექტიან მართველობით გუნდს, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მუნიციპალიტეტში საკუთარი შემოსავლების ზრდას და მობილიზებული სახსრების ეფექტურად განკარგვას.

ეფექტურად გაგრძელდება ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა რეაბილიტაცია, როგორცაა გზები, გარე განათება, წყალმომარაგება და სხვა. რათა მაქსიმალურად ხელი შეეწყოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას.

განათლება, ახალგაზრდობა და ინოვაცია. განათლებული, მოტივირებული, სამეწარმეო სულისკვეთების მქონე, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდობა გახდება იმ მთავარი შედეგის მომტანი, რომელიც მუნიციპალიტეტს ჩააყენებს განვითარებული და ინოვაციური ეკონომიკის მქონე როგორც საქართველოს ასევე სხვა ქვეყანის წარმატებული მუნიციპალიტეტებს შორის. შესაბამისად, წახალისდება ისეთი ინოვაციური პროექტები რომელიც მოზარდი თაობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

როგორც ქვეყნის მთავრობისათვის, ასევე მუნიციპალიტეტშიც ადამიანი და მასზე ზრუნვა იყო, არის და იქნება ჩვენი მთავარი ღირებულება. ამიტომ, გაგრძელდება და შეიქმნება ისეთი ახალი პროგრამები რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობაში გაზრდის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სერვისების მიღებაზე.

მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტები

პრიორიტეტების დოკუმენტის წინამდებარე ნაწილში წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტები და მათი შესაბამისი შედეგები, რომელთა დადგომაც ივარაუდება შემდგომი 4 წლის განმავლობაში შესაბამისი მუნიციპალური პროექტებისა თუ პროგრამების განხორციელების შედეგად. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- ✓ მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები;
- ✓ ინფრასტრუქტურა;
- ✓ დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- ✓ განათლება;
- ✓ კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- ✓ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

**2021-2024 წლებში ასიგნებებისა და რიცხოვნობის ზღვრული ოდენობები
პრიორიტეტების მიხედვით**

პრიორიტეტის კოდი	პრიორიტეტის დასახელება	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	4,064.2	4,590.9	4,976.4	4,975.0
	მ.შ. რიცხოვნობა	183	183	183	183
	მ.შ. ახალი ინიციატივები				
02 00	ინფრასტრუქტურა	2,005.8	2,108.3	2,409.0	2,992.8
	მ.შ. რიცხოვნობა				
	მ.შ. ახალი ინიციატივები				
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,410.8	1,553.8	1,553.8	1,553.8
	მ.შ. რიცხოვნობა	138	138	138	138
	მ.შ. ახალი ინიციატივები				
04 00	განათლება	2,668.0	3,196.2	3,316.2	3,420.4
	მ.შ. რიცხოვნობა	371	371	371	371
	მ.შ. ახალი ინიციატივები				
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2,649.8	2,691.1	2,714.9	2,776.8
	მ.შ. რიცხოვნობა	403	403	403	403
	მ.შ. ახალი ინიციატივები				
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,404.4	1,694.6	1,896.0	2,246.0
	მ.შ. რიცხოვნობა	68	68	68	68
	მ.შ. ახალი ინიციატივები				
სულ ჯამი		14,203.0	15,834.9	16,866.3	17,964.8
მ.შ. რიცხოვნობა		1163	1163	1163	1163
მ.შ. ახალი ინიციატივები					

შენიშვნა: რიცხოვნობაში ჩართულია შესაბამის სფეროში არსებული ააიკ-ების თანამშრომლების რიცხოვნობაც.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

მმართველობითი სფეროს რეფორმა ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის. ამ კუთხით პროგრამები განხორციელდება რამდენიმე მიმართულებით: **1.** ახალი სტრუქტურის, დებულებებისა და სამუშაოთა აღწერილობის შექმნა; **2.** მმართველობითი გუნდის მუშაობის შეფასების შიდა და გარე სისტემების შექმნა; **3.** მუნიციპალიტეტის ფუნქციონირებისას მოსახლეობის ჩართულობის სისტემების შექმნა; **4.** საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესება; **5.** ქონების მართვის სისტემის გაუმჯობესება; **6.** მიმდინარე პროცესების მართვა.

პრიორიტეტის კოდი	პრიორიტეტის დასახელება	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	4,064.2	4,590.9	4,976.4	4,975.0
	მ.შ. რიცხოვნობა	183	183	183	183
	მ.შ. ახალი ინიციატივები				

საერთო დანიშნულების ხარჯები (პროგრამული კოდი 01 02)

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	01 02 03
----------------------------------	-----------------

ქვეპროგრამის დასახელება:

მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების მომსახურება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია, საფინანსო სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი (ათასი ლარი):

დასახელება	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	103.7	97.3	90.9	84.5
სხვა წყარო				
სულ ქვეპროგრამა	103.7	97.3	90.9	84.5

ქვეპროგრამის მიზანი:

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წინაშე ნაკისრი სასესხო ვალდებულების სრულად და დადგენილ ვადებში შესრულება

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების საპროცენტო და სესხების ძირი თანხების დაფარვა წელიწადში ორჯერ.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების საპროცენტო ხარჯების დაფარვა	2	16,800.0	33,600.0
მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების ძირი თანხის დაფარვა	2	35,050	70,100.0
სულ ქვეპროგრამა			103,700.0

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების საპროცენტო ხარჯების დაფარვა		X		X
მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების ძირი თანხის დაფარვა		X		X

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2021 წელი)

სასესხო ვადებულება დაფარულია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: **01 02 04**

ქვეპროგრამის დასახელება:

კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი

არის ქვეპროგრამა ახალი? კი/ არა

თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია

დაფინანსების წყარო

დასახელება	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	23.0	31.0	31.0	31.0
სულ ქვეპროგრამა	23.0	31.0	31.0	31.0

ქვეპროგრამის აღწერა:

სამტრედიის მერიის თანამშრომლების გადამზადება განხორციელდება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსთა ასოციაციის მიერ. გადამზადდება მუნიციპალიტეტის ყველა სამსახურის თანამშრომელი რომელიც ჩართულია და მონაწილეობს მუნიციპალიტეტში სხვადასხვა დარგობრივი პროგრამებისა და პრიორიტეტის დოკუმენტის შედგენაში. გადამზადდება ხორციელდება უფასოდ საწევროს ფარგლებში. სწავლება განხორციელდება უწყვეტად მთელი პროგრამის განმავლობაში და გაიცემა სერტიფიკატები.

ხარჯთაღრიცხვა ღონისძიებების მიხედვით 2021 წელი

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
თანამშრომელთა გადამზადება			23,000.0

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა 2021 წელი

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
თანამშრომელთა გადამზადება	X	X	X	X

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2021 წელი)

პროგრამული ბიუჯეტისთვის ხარისხიანი პროგრამები

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების, ეზოების, დასასვენებელი პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარება და გაუმჯობესება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან. ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას რაც წინა პირობაა ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სახვ დარგების განვითარების.

პრიორიტეტის კოდი	პრიორიტეტის დასახელება	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
02 00	ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;	2,005.8	2,108.3	2,409.0	2,992.8
	მ.შ. რიცხოვნობა				
	მ.შ. ახალი ინიციატივები				

გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 02 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

2021-2024 წლები

პროგრამის მიზანი:

საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, ტრანსპორტის და მოსახლეობის შეუფერხებელი გადაადგილება

პროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უკანასკნელ წლებში აქტიურად ხორციელდება მასშტაბური სამუშაოები ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, მაგრამ გრძელვადიანი საჭიროებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სამუშაოების გაგრძელების აუცილებლობა. მუნიციპალიტეტში ბოლო წლებში რეაბილიტირებული ქუჩების ნაწილი ითხოვს კაპიტალურ შეკეთებას. ქალაქში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების, სატრანსპორტო და ქვეითა ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით საჭიროა საგზაო ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მოწესრიგება. ტროტუარები საჭიროებს განახლებას, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს ქალაქის იერსახეს და ქვეითთა გადაადგილების კომფორტულ გარემოს. კორპუსების ეზოები საკმაოდ არის დამორებული კეთილმოწყობილი ცენტრალური თუ მეორეხარისხოვანი გზიდან და იქ მცხოვრებ მოქალაქეებს ტრანსპორტით თუ ფეხით მოუწესრიგებელი ტერიტორიის (ეზოების) გავლით უწევთ გადაადგილება. საჭიროა მრავალსართულიანი ბინების ეზოებიდან ცენტრალურ და მეორეხარისხოვან გზებამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია. მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობას ცენტრალურ და მეორეხარისხოვან გზებამდე მისასვლელად უწევთ ქვიშა-ხრემოვანი გზებით სარგებლობა, გზის საფარის არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე თითქმის ყველა სოფლის შიდა გზების უმეტესობა ამ ეტაპზე საჭიროებს მოხრეშვითი სამუშაოების ჩატარებას. ზამთრის სეზონის პერიოდში ასევე აუცილებელი ხდება მაღალმთიანი სოფლების შიდა საავტომობილო გზებზე და ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებზე თოვლის საფარის გაწმენდითი სამუშაოების ჩატარება, რისთვისაც გამოიყენება მძიმე ტექნიკა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალაქისა და სოფლების სხვადასხვა უბნებში სანიაღვრე ქსელების ნორმალური ფუნქციონირებისათვის გასაწმენდია ზედმეტი ნატანისაგან დალექილი არხები, საჭიროა ნიაღვარმიმღები ობიექტების რეაბილიტაცია ქუჩებზე, რომლებზეც დაგეგმილია გზის კაპიტალური სამუშაოები, მოსაწყობია ახალი ბოგირები, ცხაურები და ხიდ-ბოგირები.

პროგრამის ბიუჯეტი (ათასი ლარი)

ქვეპროგრამის დასახელება	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
გზების კაპიტალური შეკეთება	150.0	220.0	230.0	200.0
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მდ. კალაპოტების გაწმენდა	120.0	180.0	250.0	200.0
სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია, ბოგირების, ცხაურების და ხიდების მოწყობა	100.0	140.0	150.0	120.0
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შიდა გზების მოხრეშვები	80.0	100.0	100.0	80.0
მრავალსართულიანი ბინის ეზოებში ასფალტო-ბეტონის საფარის დაგება	205.0	130.0	150.0	125.0
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები	60.0	70.0	65.0	60.0
სულ პროგრამა	785.0	840.0	945.0	785.0

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა; საავტომობილო გზების გამტარუნარიანობის გაზრდა; მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება, მიმოსვლის დროის შემცირება; საცხოვრებელ კორპუსებში მოწესრიგებული ეზოები; საცხოვრებელ სახლებამდე მოწესრიგებული და უსაფრთხო გზით მისვლა, გამართული სანიაღვრე სისტემა. ქალაქის იერსახის შეცვლა და ფეხითმოსიარულეთა კომფორტული გადაადგილება.

კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია-(პროგრამული კოდი 02 02)

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 02
-------------------------------	-------

პროგრამის დასახელება:

კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

პროგრამის განმახორციელებელი:

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების მოვლა, დასუფთავება.

პროგრამის ბიუჯეტი (ათასი ლარი)

ქვეპროგრამის დასახელება	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
ბინათმშენებლობა	385.0	340.0	280.0	385.0
წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	103.0	213.0	203.0	303.0
გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	503.0	535.5	563.0	640.0
სულ პროგრამა	991.0	1,088.5	1,046.0	1,328.0

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

- განათებული მუნიციპალიტეტი
- რეაბილიტირებული საცხოვრებელი კორპუსები;
- მოწესრიგებული სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემები.
- გამართული კომუნალური ინფრასტრუქტურა
- მოსახლეობის საცხოვრებელი და სანიტარული პირობების გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 02 03
----------------------------------	----------

ქვეპროგრამის დასახელება:

ბინათმშენებლობა

არის ქვეპროგრამა

ახალი? კი/ არა

თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.

დაფინანსების წყარო (ათასი ლარი)

დასახელება	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	385.0	340.0	280.0	385.0
რეგ.ფონდი				
სულ ქვეპროგრამა	385.0	340.0	280.0	385.0

ქვეპროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები ვერ ახორციელებენ ბინათმესაკუთრეთა საერთო ქონების დამოუკიდებელ მოვლა-პატრონობასა და განვითარებას. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაზიანებული სახურავი მთლიანად აზიანებს ჭერსა და მაღალ სართულებზე განთავსებულ ბინებს. არსებული მრავალსართულიანი კორპუსების ფასადები სიძველის გამო გამოსულია მწყობრიდან, საიდანაც ხშირ შემთხვევაში ცვივა ბათქაში და იქმნება საფრთხე.

ხარჯთაღრიცხვა ღონისძიებების მიხედვით

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
მრავალსართულიანი ბინების ფასადების რეაბილიტაცია			200,000.0
მრავალსართულიანი ბინების გადახურვა და შიდა კომუნიკაციების რეაბილიტაცია			185,000.0
			385,000.0

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მრავალსართულიანი ბინების ფასადების რეაბილიტაცია	X	X	X	X

მრავალსართულიანი ბინების გადახურვა და შიდა კომუნიკაციების რეაბილიტაცია	X	X	X	X
--	----------	----------	----------	----------

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2021 წელი)

კორპუსების საექსპლუატაციო ვადის გაზრდა; მოსახლეობისათვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნა; კორპუსების ენერგოეფექტურობის ზრდა.

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: **02 02 02**

ქვეპროგრამის დასახელება:

წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

არის ქვეპროგრამა ახალი?
კი/ **არა**

თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.

დაფინანსების წყარო (ათასი ლარი)

დასახელება	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	103.0	213.0	203.0	303.0
რეგ.ფონდი				
სულ ქვეპროგრამა	103.0	213.0	203.0	303.0

ქვეპროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (მაღალმთიან ზონაში) არსებული წყლის სისტემები მოითხოვს რეაბილიტაციას და ასევე უნდა მოეწყოს ახლი სისტემები. სასმელი წყლის რეზერვუარები გამოსულია მწყობრიდან, საჭიროებს აღდგენას

ხარჯთაღრიცხვა ღონისძიებების მიხედვით

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
წყლის სისტემების რეაბილიტაცია			70,000.0
წყლის სისტემების მიმდინარე ხარჯები			33,000.0
			103,000.0

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
წყლის სისტემების რეაბილიტაცია	X	X	X	X
წყლის სისტემების მიმდინარე ხარჯები	X	X	X	X

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2021 წელი)

რეაბილიტირებული სასმელი წყლის სისტემა უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის უწყვეტ წყლის მიწოდებას და ხარისხის გაუმჯობესებას.

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: **02 02 03**

ქვეპროგრამის დასახელება:

გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

არის ქვეპროგრამა ახალი? კი/ არა

თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.

დაფინანსების წყარო (ათასი ლარი)

დასახელება	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	503.0	535.5	563.0	640.0

რეგ.ფონდი				
სულ ქვეპროგრამა	503.0	535.5	563.0	640.0

ქვეპროგრამის აღწერა:

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის, ასევე სატრანსპორტო საშუალებების შეუფერხებლად მოძრაობისათვის აუცილებელია ქალაქის განათება, არსებული ქსელის რეაბილიტაცია და ახლის მოწყობა. ახალი სანათების შექმნა მონტაჟი.

ხარჯთაღრიცხვა ღონისძიებების მიხედვით

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
გარე განათების რეაბილიტაცია-ექსპლუატაცია			40,000.0

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
გარე განათების რეაბილიტაცია-ექსპლუატაცია	X	X	X	X

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2021 წელი)

განათებული ქალაქისა და სოფლის გზები. მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესება, მოსახლეობისათვის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება. ექსპლუატაციის ვადის გახანგრძლივება და ელ. ენერჯის ხარჯის ეკონომია.

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 03)

პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2021-2024 წლები
-----------------------------------	-----------------

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესება, დასვენებისა და გართობისთვის შესაბამისი გარემოს შექმნა.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სკვერების, პარკების კეთილმოწყობა, მოსაცდებელის რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების გამწვანება და სხვა.

პროგრამის ბიუჯეტი (ათასი ლარი)

ქვეპროგრამის დასახელება	სულ	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
საკადასტრო რუქების მომზადება და საპროექტო-სახაჯთადრიცხოვო დოკუმენტაციის მომზადება	19.6	4.9	4.9	4.9	4.9
სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები	1,668.2	220.0	170.0	408.2	870.0
სულ პროგრამა	1,687.8	224.9	174.9	413.1	874.9

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 03 01
----------------------------------	----------

ქვეპროგრამის დასახელება:

საკადასტრო რუქების მომზადება და საპროექტო-სახაჯთადრიცხოვო დოკუმენტაციის მომზადება

არის ქვეპროგრამა ახალი? კი/ არა	
---------------------------------	--

თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?	
---	--

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური.

დაფინანსების წყარო (ათასი ლარი)

დასახელება	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	4.9	4.9	4.9	4.9
რეგ.ფონდი				
სულ ქვეპროგრამა	4.9	4.9	4.9	4.9

ქვეპროგრამის აღწერა:

პროგრამის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების ზუსტი აღრიცხვა და ბალანსზე აყვანა. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში დარეგისტრირებული შენობა-ნაგებობების შიდა აზომვითი და საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზების დამზადება, აგრეთვე ქვეპროგრამა ითვალისწინებს ექსპერტიზის ჩატარების ორგანიზებას, საექსპერტო კვლევის შედეგად მიღებული დასკვნის ან აქტის შესაბამისი სამუშაოების განხორციელებას

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2021 წელი)

გაუმჯობესდება მუნიციპალური ქონების დაცვის, განკარგვისა და მართვის ხარისხი ასევე მოხდება ქონებების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაცია.

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 03 03
----------------------------------	-----------------

ქვეპროგრამის დასახელება:

სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები

არის ქვეპროგრამა ახალი? კი/ არა

თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?	
---	--

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.

დაფინანსების წყარო (ათასი ლარი)

დასახელება	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	2200.0	170.0	408.2	870.0
რეგ.ფონდი				
სულ ქვეპროგრამა	220.0	170.0	408.2	870.0

ქვეპროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების საჭიროებს რეაბილიტაციას, მოსაწყობია ინფრასტრუქტურა, სკამები, გაზონები. ზოგი მათგანი საჭიროებს შეღობვით სამუშაოებს და განათების მოწყობას. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჰიპოდრომის ტერიტორია საჭიროებს შემოღობვას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერები და გაზონები მოითხოვს გამწვანების სამუშაოების ჩატარებას, ქალაქის ტერიტორიაზე არსებული მგზავრთა მოსაცდელეები სიძველის გამო ამორტიზირებულია და საჭიროებს განახლებას. დენდროლოგიური პარკში ჩასატარებელია კეთილმოწყობის სამუშაოები.

ხარჯთაღრიცხვა ღონისძიებების მიხედვით

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სკვერების რეაბილიტაცია			70,000
მოსაცდელეების რეაბილიტაცია			30,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სკვერების რეაბილიტაცია	X	X	X	X
მოსაცდელეების რეაბილიტაცია	X	X	X	X

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2021 წელი)

რეაბილიტირებული სკვერები და გაზონები, უზრუნველყოფს იერსახის გაუმჯობესებას, და დასვენებისა და გართობისათვის შესაფერისი გარემოს შექმნას. ახალი ტიპის მოსაცდელეები გააუმჯობესებს ქალაის იერსახეს. გამწვანების დროს ქალაქში იქმნება სასიამოვნო გარემო დასვენებისათვის. დენდროლოგიური პარკის კეთილმოწყობა ქმნის დასვენებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას.

სოფლის მეურნეობის განვითარება (პროგრამული კოდი 02 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური.

პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2021-2024 წლები
-----------------------------------	------------------------

პროგრამის მიზანი:

სოფლის მეურნეობის სფეროში საინვესტიციო პროექტების განხორციელების ხელშეწყობა და დაინტერესებულ პირთა საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფა.

პროგრამის აღწერა:

პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივ ფერმერთათვის აგროტურების მოწყობას.

პროგრამის ბიუჯეტი (ათასი ლარი)

ქვეპროგრამის დასახელება	სულ	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
ადგილობრივი ფერმერთათვის აგროტურების მოწყობა	19.6	4.9	4.9	4.9	4.9
სულ პროგრამა	19.6	4.9	4.9	4.9	4.9

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

ადგილობრივი ფერმერების მიერ მოწინავე ტექნოლოგიების შესწავლა.

დასუფთავება და გარემოს დაცვა

მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების პროგრამა თანხვედრაშია ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების 2021-2024 წლის დოკუმენტში მოცემულ სტრატეგიასთან. ჩვენი მიზანია ყველა გადაწყვეტილების, მათ შორის, ეკონომიკურად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდეს ეკონომიკური მიზანშეწონილობასთან ერთად, ეკოლოგიური ეფექტიანობის გათვალისწინებით. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ყურადღება მიექცეს ისეთი პროგრამების განხორციელებას, როგორცაა მწვანე ნარგავების დარგვა და მოვლაპატრონობა, გარემოს დასუფთავება, სუფთა ტრანსპორტი, ნარჩენების სეპარირებულად შეგროვებას, უნარჩენო წარმოების ხელშეწყობა და სხვა.

აღნიშნული მიმართულებით მუნიციპალიტეტში პოლიტიკას წარმართავს და აღსრულების კუთხით ჩართულია ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“ და ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება“

პრიორიტეტის კოდი	პრიორიტეტის დასახელება	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი

03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,410.8	1,553.8	1,553.8	1,553.8
	მ.შ. რიგხოვნობა	138	138	138	138
	მ.შ. ახალი ინიციატივები				

ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება (პროგრამული კოდი 03 01)

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	03 01
----------------------------------	-------

ქვეპროგრამის დასახელება:

ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება

არის ქვეპროგრამა ახალი? კი/ არა	კი/ არა
---------------------------------	---------

თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?	
---	--

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება

დაფინანსების წყარო (ათასი ლარი)

დასახელება	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	1,057.0	1,200.0	1,200.0	1,200.0
სულ ქვეპროგრამა				

ქვეპროგრამის აღწერა:

ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება ახორციელებს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების დაგვა-დასუფთავებას საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან და მის გატანას, რაც წელიწადში საშუალოდ 23,0 ათ. კბ.მ ნაგავს შეადგენს. აგრეთვე, ემსახურება სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ დაახლოებით 8,000 გარე განათების წერტილს, ახორციელებს დაახლოებით 26 ქუჩის სანიაღვრე არხის დანალექებისაგან გაწმენდასა და გატანას.

ხარჯთაღრიცხვა ღონისძიებების მიხედვით

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
